ა. ულიანინსკი

# დილა

## ერთმოქმედებიანი პიესა

მოქმედი პირნი:

იულია

გენადი

გლაფირა პეტრეს ასული

ახალგაზრდა კოვბოიკიანი



ბორცვის წვერი. ბებერი დატოტვილი არყის ხის გარშემო ამონაყარია მოფენილი. ხის ქვეშ განიერი დაბალი სკამია. შორს მოჩანს მინდორი და ტყე. ცა მოწმენდილია, გამჭვირვალე. თენდება. შორიდან მოისმის აკორდეონის ხმა— წინე, ხალისიანი ტაოში. ხმა თანდათან ახლოვდება და ბოლოს იკარგება.

შემოდიან გენადი და ახალგაზრდა კოვბოიკიანი. ახალგაზრდას მხარზე აკორდეონი აქვს გადაკიდებული.

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. აი, შენ ტანკისტი იყავი, ეხლა ტრაქტორი დაგყავს... მე კი?.. მთელი ჩემი ბიოგრაფია ორი სიტყვით დაიწერება—დავიბადე, ვისწავლე.

გენადი. მაგას ნუ დარდობ. გაივლის დრო და ზოგი რამ შენს სააღრიცხვო ფურცელშიც ჩაიწერება. (მოიხმობს ახალგაზრდას ბორცვის ნაპირას, ხელებით უჩვენებს გარშემო არემარეს) საითაც გაიხედავ, ასი კილომეტრია!

ახალგაზრდა კოვბოიკიანი (გარემო ხედით დამტკბარი). ო, კარგია!..

გენადი. აქა-იქ, გორაკზე, ხედავ მწვანე ხაზს? ჩემმა ტრაქტორმა გაიარა... და საერთოდ მთელი ჩვენი სოფელი ხელის გულივით მოჩანს. (შემოტრიალდება, სკამზე უჩვენებს) ეს კი... გთხოვ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციო. (აღტაცებით) ასე ვთქვათ, მსოფლიო მნიშვნელობის პუნქტია! იულიას საყვარელი სკამი. მეც სწორედ აქ მაქვს პაემანი დანიშნული... მხოლოდ უკვე მეხუთედა მოვდივარ, ის კი არ ჩანს.

ახალგაზრდა კოვბოიკიანი (ამშვიდებს). მოვა. (კვლავ იყურება გარშემო) რა კარგად ჩანს ყველაფერი! თითოეული ბალახიც კი.

გენადი. დილაა. (ჯდება) შენიანებმა ულაპარაკოდ გამოგიშვეს ქალაქიდან?

ახალგაზრდა კოვბოიკიანი (მიუჯდება გვერდზე გენადის). მამას არაფერი უთქვამს, დედას კი არ უნდოდა გაშვება.

გენადი (თანაგრძნობით). დედები ყოველთვის ასეთები არიან. (შეხედავს ცას) შეხედე, ვარსკვლავები გაიცრიცნენ. თენდება. (დახედავს საათს) მაინც რა მოუვიდა! (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) კარგია, რომ შენ სწორედ ჩვენთან ჩამოხვედი სამუშაოდ, თორემ აქაურმა „ტალანტმა“ მუსიკოსმა „ლელქაშისა“ და „ჩემო ძახველა“-ს მეტი არაფერი იცის. შენ კი —რასაც გთხოვენ, ყველაფერს უკრავ

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. სმენა, მართლაც რომ არა მაქვს ცუდი. დედას მუსიკოსი უნდოდა გამოვსულიყავი. არ დავთანხმდი. მე მანქანები მიყვარს მამასავით. მამა ინჟინერია.

გენადი. მე თვითონ მიყვარს მანქანები, მაგრამ უმუსიკოდაც არ შემიძლია ცხოვრება. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) განსაკუთრებით კარგად შენ გლინკა გამოგდის. (ოცნებაში წასული) „Передо мной явилась ты“ პირდაპირ საკვირველია, ყველას რატომღაც ჰგონია, რომ მისი სატრფო ყველაზე ლამაზია ქვეყანაზე. ისეთი კი არა, როგორიც სხვები არიან, არამედ განსაკუთრებული. და კიდევ ჰგონიათ, რომ იმას განსაკუთრებული ადამიანი შეეფერება. შეხედავ შენს თავს—ისეთი არა ხარ! მაგრამ მისი დათმობა მაინც არ შეგიძლია. რა უცნაურად ხდება ეს... დავბრუნდი სამხედრო სამსახურიდან, შევხვდი მას... სულ არ მომხვედრია გულს. იულკა... რაც იყო, იგივე დარჩა. მხოლოდ ნაწნავები გაზრდია. ერთი წლის შემდეგ კი, 8 მარტის საღამოზე... (ამოიოხრავს) მას შემდეგ... ახლა სიმწიფის ატესტატს იღებს...

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. ჰო? ეს კარგია!

გენადი (გაიხედავს ირგვლივ, დახედავს საათს, მიიტანს ყურთან). მუშაობს... ეჰ, ჩემო კარგო, რომ იცოდე რა მძიმედ მაქვს დღეს გული, თითქოს ლოდი მედვას ზედ... ახლა სადგურზე წავალ, მთხოვეს, მძღოლი არ არის, ხალხი კი მისაყვანიაო, მით უმეტეს ფოსტაც წასაღებია. იულიას საბუთები უნდა გავგზავნო ინსტიტუტში.

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. მასაც უნდა ინჟინერი გახდეს?

გენადი. არა, მას სხვა რამე უნდა. სახლების დაპროექტებაზე ოცნებობს... მაისის წინა დღეებში ჩვენთან ერთი ლექტორი ქალი ჩამოვიდა. მოხსენება წაიკითხა მშენებლებზე. კლუბებისა და ბავშვთა ბაგის პროექტებიც გვიჩვენა. ამან იულიაც გაიტაცა. მინდა არქიტექტორი გავხდეო. აი მოიტანს ახლა პაკეტს და წავიღებ... ჩვენ კი ჯერ ლაპარაკითაც არ გვილაპარაკია ერთმანეთთან. ხომ იცი, როგორი დრო იყო: იმას—სკოლაში გამოცდები, მე კი—სათიბში. ახლაც მერამდენე დღეა სამუშაოზე ვარ დაკარგული.

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. მერე და როგორ იქნებით შემდეგში?

გენადი. დაბრუნდება აქ, რასაკვირველია, აქვე რაიონში იმუშავებს, მაშინ კი... (ვიღაც ყურს დაუგდებს) გესმის? ის არის! (წამოხტება. შემოდის გლაფირა პეტრეს ასული, იმედგაცრუებული). ა... ა, ეს თქვენა ხართ? (ესალმება).



გლაფირა პეტრეს ასული. (მკაცრად) იულია სად არის?

გენადი. ნეტავი თქვენ არ მეკითხებოდეთ, გლაფირა პეტრეს ასულო, და მე არ ვიყო პასუხის გამცემი!

გლაფირა პეტრეს ასული. შენ იქ ხარ, სადაც გარმოშკაა, ჩემი ქალიშვილი კი სადაც შენა ხარ! ასე არ არის?

გენადი (ხელებს გაშლის) ჯერ ვერა ვხედავ.

გლაფირა პეტრეს ასული (გაჯავრებით). გეყოფა თავის აგდება! სად ეშმაკებშია?! ჯერ არ გათენებულა და მისი კვალიც კი გაქრა! (კოვბოიკიან ახალგაზრდას) შენ საიდან ხარ?

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. ქალაქიდან.

გენადი. წუხელის ჩამოვიდა. ჩემთან ჩამოხტა.

გლაფირა პეტრეს ასული (ეჭვიანად ახედავს კოვბოიკიან ახალგაზრდას) ალბათ ესეც შარახვეტიაა... ზოგიერთებივით.

გენადი. გლაფირა პეტრეს ასული, რატომ ლაპარაკობთ ასე?

გლაფირა პეტრეს ასული. რა, არა ხდება ასე თუ რა? ჩამოვლენ, მიიხედ-მოიხედავენ და,—კარგად ბრძანდებოდეთ!

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. არ ვიცი სხვები როგორ იქცევიან, მე კი უფრო დიდხანს ვაპირებ დარჩენას.

გლაფირა პეტრეს ასული. ერთი ამას დამიხედეთ! ძალიან კარგი. ვნახოთ. არ მოგწყინდეს კი!

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. მე ჯიუტი ვარ.

გლაფირა პეტრეს ასული. აბა, აბა... შენ იცი.

გენადი (გლაფირა პეტრეს ასულს). ადრე ამდგარხართ.

გლაფირა პეტრეს ასული. (მთის ძირში რაღაცაზე უთითებს) ვერა ხედავ?

გენადი (გაჰხედავს და აიჩეჩავს მხრებს). რა არის? ჭარხალი?

გლაფირა პეტრეს ასული. დიახ, ჭარხალი! მაგრამ როგორი? გამარგვლა ვერ მოვასწარით... ღმერთმანი, გადაირია ხალხი! ზაფხულში ქორწილი სად გაგონილა! ვეუბნებოდი თამაროს—რა გეჩქარება! მოასწრებ მეთქი! არა და არა, გადაიხადა ქორწილი და წავიდა სხვა კოლმეურნეობაში. რა ორი ხელი დავკარგე!

გენადი. სიყვარული, გლაფირა პეტრეს ასულო, სერიოზული საქმეა.

გლაფირა პეტრეს ასული. ვისაც უყვარს—ითმენს. (მიდის) (სცენის სიღრმიდან ისმის მისი ძახილი „იულია! იუ-ლი-ა!“)

გენადი (გააყოლებს თვალს გლაფირა პეტრეს ასულს და თავის ქნევით)

ქალი კი არა — კაცია!.. (პაუზა) მე არ ვარ იმის წინააღმდეგი, რომ დღის ხათრი გქონდეს. მაგრამ ზოგჯერ მაინც შენებურად უნდა მოიქცე. იულია კი... მ-იცა, ის არის! (ცხვენს).

ახალგაზრდა კოვბოიკიანი (წამოდგება და მხრებზე აკიდებს ჩანთას). ესე იგი, მ. მეხმარები, როცა დავბრუნდები?

გენადი. როგორ არა, აუცილებლად! იქნებ იმ დროისათვის თავმჯდომარეც ჩამოვიდეს. ლმერთივით კაცია, ახალგაზრდა, ენერგიული... ყველაფერს გააკეთებს. და მალე შენც ისეთი მომხმელი გამოხვალ, რომ... წადი, წადი!

ახალგაზრდა კოვბოიკიანი (ამოიოხრებს). დაგელოდები! (მიდის).

(იმის ვალსის მელოდია. შემორბის იულია)

გენადი (აიტაცებს ხელში) იულენკა! ძლივს არ გნახე!

იულია. რა ლონიერი ხარ, გენადი...

გენადი (დასვამს იულიას სკამზე და თვითონაც მიუჯდება). მე ალბათ გავყიდი ჩემს საათს.

იულია. რატომ?

გენადი. საათით ძალიან ძნელია ლოდინი. (უთითებს იულიას ციფერბლატზე) შეხედე დაგვიწყდა?

იულია. სრულიადაც არა. მხოლოდ უცებ ბანაობა მომინდა. ისე მომინდა!..

გენადი. (უკმაყოფილოდ) შენ სულ უცბათ მოგინდება ხოლმე რაღაც...

იულია. მე ვიფიქრე: ერთი-ორი და შენთან გავჩნდები მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე სრიალიდან, გადავცურე მდინარე და ჩავრჩი. წყალი ცივია, გსუსხავს. ფეხებიც კი გამიყინა. მერე ვირბინე იმ ნაპირზე და ცოტა გავთბი.

გენადი. მე რომ წავსულიყავი?

იულია. შენ ხომ არ წახვედი.

გენადი (გაკავრებული). ძალიან ვნანობ... (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) დედამენი გეძებდა.

იულია. მესმოდა. ალბათ ქარხანაში მეძახის. მიეესმარები. (მოიხედავს) როგორი ქარია! ცივა...

გენადი (მშვიდით). მეტისმეტი ხომ არ მოგივიდა ბანაობა? (პიჯაკს იხდის და იულიას მოასხამს).

იულია. შენ კი არ შეგცივა?

გენადი. შენ რომ ჩაგაცვი, მეც თბილადა ვარ.



იულია (ალერსით შეეხება მის მკერდს). აქ — შეიძლება, თვითონ კი... არა მგონია.

გენადი. მაშ კარგი, წავიდეთ ქვევით. იქ უფრო თბილა.

იულია (მიეკრობა გენადის). სულ არ მინდა წასვლა.

გენადი (ნაზად მოუჭერს ხელს). აი, ასე გვემყოფა სულ ერთად.

იულია. გზაში ხელს არ გამიშვებ?

გენადი. ეს რა საკითხავია?

(პაუზა. ვალსის მელოდია სულ უფრო და უფრო გარკვევით ისმის)

იულია (ფიქრებში წასული) არც კი მჯერა, რომ სამშობლოს ატესტატი მივიღე!.. უკეთესი იქნებოდა, სულ არ დამემთავრებინა.

გენადი. ეს რატომ?

იულია. არ შემიძლია მე უშენოდ გაძლება. გენადი... გესმის, არ შემიძლია!

გენადი. გაჩუმდი!.. ისედაც თითქოს ლოდი მაწევს გულზე.

იულია. (ვალსის ხმები წყდება, აღელვებული მიიწევს გენადის) გენიკო, წავიდეთ ერთად!

გენადი (თვალს დაიწყებს, შეხედავს გაკვირვებით). ქალაქში?

იულია. ჰო, რა იყო! მე ვისწავლი, შენ კი იმუშავებ.

გენადი (გაიცინებს). ეს რაღა მოიგონე!

იულია. მოეწყობი ქარხანაში, ოსტატი გამოხვალ, საამქროს უფროსი გახდები!

გენადი (სიცილით). როგორც ზღაპარშია ხოლმე!

იულია. შენ შეგიძლია, გენია, შეგიძლია! შენ ხომ ისეთი ნიჭიერი ხარ!

გენადი (შეწყვეტს სიცილს). შენ რა, სერიოზულად ამბობ?

იულია (ოცნებაში წასული). და რა კარგი იქნება, გენია! მაშ, მითხარი — თანახმა ხარ?

გენადი. რა უბრალოდ უყურებ ყველაფერს...

იულია. მთავარი ის არის — ერთად ვიქნებით!

გენადი. მესმის. ოლიანდ... (ჩაფიქრდება) სადღაც შორს ისმის ტრაქტორის ხმა. (გენადი ყურს მიუგდებს)

იულია. ჰო, გენია, ჰო!

(გენადი განაგრძობს ყურის გდებას, შემდეგ ადგება, უახლოვდება მაღლობის კიდეს, შორს იყურება. პაუზა) რატომ სდუმხარ?

გენადი (ნელა შემობრუნდება იულიასკენ). არა, არ წამოვალ!

იულია (მუდარით) გენია!

გენადი (ჯდება სკამზე). როგორც გინდა, არ შემიძლია.

(პაუზა)

იულია (ჩუმად). მე ისე მეშინოდა ამისი... (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ასე გამოდის, რომ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს? (ხანგრძლივი პაუზა) ჰო, მე მესმის ერთი წელი, ორი... მაგრამ ხუთი წელი!

გენადი. რას იზამ, ასეა, იულია.

იულია. ლოდინი, ლოდინი, სულ ლოდინი?

გენადი (ამოიოხრებს). ვისაც უყვარს—ითმენს... მომეცი პაკეტი!

იულია (ჯიბიდან იღებს დალუქულ კონვერტს). იქნებ გადაწყვიტო?

გენადი (შეწუხებული). ოჰ, იულენკა!.. (იღებს კონვერტს, კითხულობს მისამართს. გაოგნებული, უყურებს იულიას) როგორ, იურიდიულზე?

იულია. ჰო. გადავიფიქრე.

გენადი. შენ ხომ... შენ...

იულია (გატაცებული). ეს უფრო საინტერესოა, გენია, ბევრად უფრო საინტერესო, დედასაც მოსწონს. შენ არაფერი წაგიკითხავს მოსამართლეებზე ჟურნალ „ოგონიოკში"? შენ რომ იცოდე, როგორი ადამიანები არიან ისინი... რატომ მიყურებ ასე?

გენადი (ნაღვლიანად გააქნევს თავს). მე მეგონა, რომ შენ ნამდვილად ოცნებობდი. შენ კი...

იულია. რა მე?

გენადი. სახლების აშენებაზე ოცნებობდი, საავადმყოფოების, კლუბების აშენებაზე და უკბათ... (ნაღვლიანად) როგორი სულელი მყევხარ, იულია. სულ მთლად სულელი... ხედავ, თვითონაც არ იცი, რა გინდა. და თანაც ჩქარობ... ყველაფერს უმიზნებ, რასაც მოხვდება. უნდა დაიწყო საქმე როცა კარგად ჩაუკვირდები.

იულია. ყველა ხომ შორს მხედველი არ იქნება! და საერთოდ რით არის ეს საშინელი? მარტო მე ხომ არა ვარ ასე! აი, ნასტია ლიდკინას ჯერ გეოლოგიურზე უნდოდა, შემდეგ უცბათ შეცვალა და ეკონომიურზე შევიდა.

გენადი. ეჰ, თქვენ, „სიწყნარის არისტოკრატიანებო!" ისწავლეთ, ისწავლეთ, ხოლო რომელი კარებიდან შედგათ ფეხი ცხოვრებაში, არ იცით. ოღონდ იმ კარებიდან არა, რომელთანაც გაიხარდეთ



და სხვა რაც უნდა იყოს. შეხედე შენს გვერდზე რა მიწაა. რა არის მასზე უკეთესი, თქვენ კი გაურბიხართ მას, ვინ საით!

იულია. შენი აზრით, იქნებ საერთოდ არ არის საჭირო უმაღლესი განათლების მიღება? ან იქნება მარტომე არ უნდა ვისწავლო?

გენადი. თავი კარგი გაქვს, შენ ყველა ინსტიტუტში ჩააბარებ გამოცდებს. მაგრამ თუ მოწოდება არა გაქვს—რა საჭიროა?

იულია (განაწყენებული). მეტისმეტი მოგდის... (დგება) თვითეული ხომ ოცნებობს ადამიანი გახდეს. (პიჯაკს მხრებიდან იგდებს და გენადის ესვრის ხელებში).

გენადი (ისიც დგება). ასე გამოდის, რომ ჩვენ აქ ადამიანები არა ვყოფილვართ!

იულია. მე მინდა დიპლომი მქონდეს! გასაგებია?

გენადი. დედაშენის ხვაზე მღერი?

იულია. ვგონებ ჩემი საკუთარიც მაქვს.

გენადი. მაშ ისმინე ჩემი: მე ამ პაკეტს ფოსტაში არ წავიღებ.

იულია. როგორ თუ არ წაიღებ?

გენადი. არ წავიღებ და ეს არის! ეს არც შენთვის არის საჭირო და არც ხალხისათვის. (პაკეტს პიჯაკის შიგნითა ჯიბეში ინახავს) და ჯერჯერობით მას არავის არ მივცემ.

იულია. გაგიჟდი თუ? ისედაც დავაყოვნე. ხვალ უკვე გვიან იქნება.

გენადი. ჰოდა, ძალიან კარგიც იქნება.

იულია. მომეცი ახლავე პაკეტი!

გენადი. არც ვიფიქრებ!

იულია. მომეცი, მე თვითონ წავიღებ.

გენადი. ნუ ყვირი. დაჯექი, დაჯექი, ერთი წუთით. (იულია გაბრაზებული გატრიალდება და წავა) საით იულია?

იულია (უკან მოიხედავს). შენ თავმჯდომარე გიბრძანებს...

გენადი. ის ხომ აქ არ არის.

იულია. სტყუი! (სწრაფად მიდის).

გენადი (მისძახის). იულია, იულია (აჩქარებით ამოაქვს ჯიბიდან პაკეტი) არა! ვიკამათებ! (იცვამს პიჯაკს)

(პაუზა. შემოდის გლაფირა პეტრეს ასული)

გლაფირა პეტრეს ასული. ისევ მარტო ხარ. მე კი მომეჩვენა...

გენადი (ურჩევნებს პაკეტს). იყო და გაიქცა. (პაკეტს პიჯაკის შიგნითა ჯიბეში იდებს.)

გლაფირა პეტრეს ასული (წყენით). დამიხედეთ ერთი!

გენადი. ახლავე დაბრუნდება.

გლაფირა პეტრეს ასული (სკამზე დაეშვება). აი ასე იქანცები მთელი დღე. ხუმრობაა? ყველა სახლი მოვიარე—რგოლი გამოვუყვანე.

გენადი. ასე გამოდის რომ უკან არ იხევთ.

გლაფირა პეტრეს ასული. თვალებს ეშინიათ, ხელები კი აკეთებენ.

გენადი (მიუჯდება გლაფირა პეტრეს ასულს). ეჰ, აი იულია რომ მოგცათ თქვენ!..

გლაფირა პეტრეს ასული. სწორედ ამისთვის ვეძებ.

გენადი. მე მასზე არ გელაპარაკები. თამარის მაგივრად რომ გყავდეთ.

გლაფირა პეტრეს ასული (ჩაფიქრდება). უკეთესი არ იქნებოდა იულია! ხელი მოუხდება აქაც, მსუბუქი. ჯოხს ჩაარჭობს, ისიც კი გაიხარებს. (ამოიოხრებს). ზედმეტია ამაზე ლაპარაკი.

გენადი. რატომ არის ზედმეტი?

გლაფირა პეტრეს ასული. რას სულელობ! ის ხომ სასწავლებლად მიდის. (კვლავ მძიმედ ამოიოხრებს) როგორ ვიცხოვრებ მარტო, სრულიად მარტო, არ ვიცი... მაგრამ რას ვიზამ? ოღონდ კი ისწავლოს როგორც საჭიროა და...

გენადი. აქ რა, არ შეიძლება ისწავლოს?

გლაფირა პეტრეს ასული. მე კოლმეურნეობისთვის არ გამიზრდია შვილი!

გენადი. ასე გამოდის, აქ არავინ უნდა დარჩეს?

გლაფირა პეტრეს ასული. სხვები შენსავით უბრალოები, უატესტატოები დარჩებიან.

გენადი. ყველა რომ ატესტატიანი გახდეს, მაშინ რაღას ვიზამთ?

გლაფირა პეტრეს ასული. ყველა თავისთავს უფრთხილდება.

გენადი (ღიმილით). აი, თქვენ იულიასაც ჩაუნერგეთ ეს აზრი, ეს კი მცდარი აზრია.

გლაფირა პეტრეს ასული. შენ გექნება უფრო კარგი აზრები?..



გენადი. ესე იგი, ყველა ნასწავლმა უნდა დატოვოს კოლმეურნეობა და გაიქცეს ქალაქში, რა სამუშაოც არ უნდა იყოს, ოღონდ კი ქალაქი?

გლაფირა პეტრეს ასული. მაშ როგორ? გოგომ ათწლედი დაამთავრა და აქ წელი იწყვიტოს მიწაზე მუშაობით?

გენადი. ამბობენ, რომ წინათ მიწა მართლა სწყვეტდა წელს ადამიანს, თქვენ ალბათ გახსოვთ ის დრო. ჩვენ სხვა გვერგო წილად! აი, ხედავთ, ტრაქტორი. რამდენს გაუმართა მან წელი?

გლაფირა პეტრეს ასული. შენ მე მანქანებით ნუ მიბრუებ თავს, ბრმა კი არა ვარ, უშენოდაც ვხედავ. მე მხოლოდ მინდა იულია სუფთა სამუშაოზე წავიდეს. მორჩა და გათავდა.

გენადი. ჩვენი სამუშაო ჭუჭყიანია?

გლაფირა პეტრეს ასული (გაიშვერს ხელებს). შეხედე შენს თავს, მთლად აქერცლილი ხარ!

გენადი. ქერცლის მეტს ვერაფერს ხედავთ? ეჰ, სულ არა გაქვთ გაქანება!

გლაფირა პეტრეს ასული (მრისხანედ). რა სთქვი? (ორივე წამოდგება და ერთმანეთს უყურებენ) რამდენს ბედავ, გზას ხომ არ ასცდენიხარ?

გენადი. ზოგჯერ მიგყავს, მიგყავს ტრაქტორი, ღრანტესთან კი ამოვარდები კვალიდან.

გლაფირა პეტრეს ასული (გაწიწმაწებული). გირჩევნია სადგურზე გაემგზავრო.

გენადი. პაკეტზე კიდევ ვიფიქრებთ.

გლაფირა პეტრეს ასული (ხარჯაცემული). ეს როგორღა გავიგო?

გენადი. როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ.

გლაფირა პეტრეს ასული. შენ მე გამოცანებით ნუ მელაპარაკები!

გენადი (აზარტში შესული) არ სჭირდება იულიას აქედან წასვლა! არ სჭირდება! და არც წავა არსად!

გლაფირა პეტრეს ასული. რა სისულელეებს როშავ?

გენადი. გადავათქმევინებ! აი ნახავთ!

გლაფირა პეტრეს ასული (გაშმაგებული გაშლის ხელებს). აი, შე სულგახრწნილო! შენ დიასახლისი გნებავს? ძროხა მოგიწველოს? ნამცხვრები გიცხოს? ჩექმები გაგხადოს? შენს თავზე ფიქრობ მარტო, არა!?

გენადი. ეს არ არის მართალი!

გლაფირა პეტრეს ასული. ხმა გაკმინდე! შე ორპირა ქაჯო!

(შემოდის კოვბოიკიანი ახალგაზრდა)

ახალგაზრდა კოვბოიკიანი (გენადის). გარაჟთან გელიან.

გენადი (დაჰყურებს საათს). ეშმაკმა წაიღოს! (გლაფირა პეტრეს ასული გაჯავრებით) რა ექნა! გავგზავნი!

გლაფირა პეტრეს ასული. დროზე გეთქვა!

გენადი. ქვითარსაც მოვიტან! მაგრამ ტყუილად, ტყუილად! ნახავთ! (გარბის).

გლაფირა პეტრეს ასული. ერთი დამიხედეთ! როგორ გაბრაზდა! ვაი მებრალი! (მიჰყვება მას ფეხდაფეხ).

ახალგაზრდა კოვბოიკიანი (ორივეს თვალს გააყოლებს) რა დაემართათ? (ჩადის ფერდობის ნაპირას, შორს იყურება) რა თვალუწვდენი სივრცეა!.. (პაუზა. სალამურის ხმა გაისმის, ეჟვნები წკრიალებენ, უთუოდ სადღაც ახლოს ჯოგს მიერეკებიან) აჰ, ნეტავ მალე დაბრუნდებოდეს გენია... (ჯდება სკამზე, იღებს აკორდეონს, მაგრამ მაშინვე დგება) არა, ისევ იქა სჯობს, ბალახზე... (მიდის).

(ისმის ნაბიჯები მარში, რომლითაც პიესა იწყებოდა. რამდენიმე წამს, სცენაზე არავინ არის. შემდეგ ჩქარი ნაბიჯით შემორბის იულია).

იულია (როცა ნახავს რომ გენადი აქ აღარ არის, გასძახებს იქით საიდანაც მოისმის მუსიკის ხმა) მეგობაროო, გენადი არ გინახავთ?

(მუსიკა წყდება. შემოდის კოვბოიკიანი ახალგაზრდა)

ახალგაზდა კოვბოიკიანი. ის გარაჟისკენ წავიდა.

იულია. ვაი! არ გაგზავნის! (გაქცევა უნდა).

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. ნუ გეშინიათ, გაგზავნის! (იულია შეჩერდება) საბუთებზე ბრძანებთ, არა? (ჯდება სკამზე) იგი დედათქვენსშეჰპირდა ქვითარს მოგიტანთო.

იულია (გახარებული). არა, მართლა? მე კი ისე შემეშინდა, მინდოდა მეჩივლა მასზე და უფროსები ვერ ვნახე. (გულმოშვებული ამოისუნთქავს) ეჰ, რაც იქნება, იქნება. (ჯდება. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) თქვენ კარგად უკრავდით.

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. ასე ვეგებებოდი ჩემს დილას.

იულია (დაკვირვებით შეხედავს მას). თქვენ ვინ ხართ?

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. ჯერჯერობით არავინ. მაგ-



რამ პროექტში... სტუდენტი. შემდეგ კი სხვადასხვაგვარ კომბაინებს გამოვუშვებ.

იულია. დასასვენებლად ჩამოხვედით?

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. არა, სამუშაოდ. აი თქვენს თავმჯდომარეს ველოდები. მინდა მიმბმელად მოვეწყო. მგონი არ მეტყვის უარს.

იულია. კი მაგრამ მიმბელად რატომ?

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. იმიტომ, რომ ყველა მანქანას პირდაპირ მუშაობისას შევისწავლი.

იულია (კვლავ ყურადღებით შეხედავს ახალგაზრდას). აი, თქვენ თურმე როგორი ხართ!..

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. და მიწაც მინდა საკუთარი ხელით მოვსინჯო.

იულია. თქვენ გენიას ბებიასავით მოგდით. იგი მუდამ ასე ამბობს: „სანამ თვითონ არ მოზელავ ცომს, გამოცხობას ვერ ისწავლიო“.

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. დიახ, დიახ!.. და საერთოდ მე მუშაობა მჭირდება. მე ხომ თქვენსავით არა ვარ. მე არაფრისთვის არ ვარ მომზადებული... თქვენ კი ალბათ ყველაფერი იცით?

იულია (ჩაიცინებს). ყველაფერი... მიწაზე კი მიმუშავია... სკოლაში საკუთარი ნაკვეთი გვაქვს. შარშან მე ისეთი კვლები გავაკეთე!.. თავიდან კი მეშინოდა. ვფიქრობდი გამოვა კი რაიმე მეთქი! შემოირბენ კვალზე და კანკალებ: აღმოცენდა თუ არა? ისეთი საინტერესოა!

ახალგაზრდა კოვბოიკიანი. არიან კი ისეთი სულელები, რომ მიწას გაურბიან.

იულია (შეკრთება, მკვახედ). თქვენ ამას ჩემზე ამბობთ?

ახალგაზრდა კოვბოიკიანი (ვერ გაიგებს). რატომ თქვენზე? (უცებ გაახსენდება) არა, რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! თქვენ გაქვთ მიზანი — არქიტექტორი გახდეთ. მე... (შეწუხებული) ღმერთმანი, მე არ მინდოდა... (იულია გაჩუმებულია) თქვენ ძალიან სწორად იქცევით, რომ არქიტექტურულზე შედიხართ.

იულია (მობრუნდება მისკენ). თუ არქიტექტურული არ იქნება?..

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი (გაოცებული). მაშ სადღა?

ი უ ლ ი ა. მე... გადავიფიქრე.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი. მაშ ვინ გინდათ გახდეთ?

ი უ ლ ი ა (დაუშვებს თავს, ჩუმად) გადაწყვეტით თვითონაც არ ვიცი...

(პაუზა)

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი (ივენცულად). ჰო... აი რა ყოფილა... მე კი მეგონა... მითხარით, თუ არ გეზარებათ, თქვენ რა გიყვართ? მხოლოდ ყველაზე ძალიან!

ი უ ლ ი ა. მე? (ოდნავ ჩაეცინება). ნიგოზი მიყვარს.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი (ისევ გაჩუმდება). არაფერია... ისევ მოვა.

ი უ ლ ი ა (მოულოდნელად). როგორ მინდა ვიყო ისეთი, როგორიც თქვენ ხართ! სოფელშიაც კი ჩამოხვედით! ნიმუშებს თხოულობთ. რა ვქნა, რა?.. რა... თქვენ არ დაბნეულხართ ტყეში! გზა არ დაგკარგვიათ?!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი. არა, არასოდეს.

ი უ ლ ი ა. დგეხართ პაიკივით და არ იცი საით წახვიდე...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ). აი, თქვენ მე ქალზე მელაპარაკებოდით...

ი უ ლ ი ა. დიახ... გეუბნებოდით.. მაგრამ რა შუაშია აქ ქალი?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი. მე ვფიქრობ, თქვენ მიწა ყველაზე ძალიან გიყვართ. და კარგიც იქნებოდა...

ი უ ლ ი ა (არ დაათავებინებს). კმარა! წადით! (თავზე იტაცებს ხელებს).

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი (წამოდგება და მხრებზე წამოიცვამს კოლოფებს). როგორც გნებავთ... (მიდის).

ი უ ლ ი ა (გონს მოვა). ყური მიგდეთ!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი (მოიხედავს).

ი უ ლ ი ა. გეწყინათ?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი. სრულიადაც არა.

ი უ ლ ი ა. მაშ მოიცადეთ! (კოვბოიკიანი ახალგაზრდა ჩერდება, მოლოდინით უყურებს მას) არა. არაფერია.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა  კ ო ვ ბ ო ი კ ი ა ნ ი. კარგი. (მიდის).

(ხანგრძლივი პაუზა. იულია დგას ერთი მხრიდან მეორისკენ. ისმის მიმავალი მანქანის საყვირის ხმა).



ი უ ლ ი ა (შეკრთება. ყვირის). გენია! გენია! (მანქანის ხმა თანდათან შორდება და წყდება) წავიდა... (ჯდება).

(ქვევიდან ისმის გლაფირა პეტროვნას ხმა: „იულია!“ ფიქრებში წასული. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდება გლაფირა პეტროვნა.)

გ ლ ა ფ ი რ ა  პ ე ტ რ ე ს  ა ს უ ლ ი. შენ რა? არ გესმის დედის თუ? გენიას მთელ სოფელში გაიძახოდი — მინდვრამდე გაისმოდა შენი ხმა, დედის კი — ხმა ვერ გაიგე? ჩემს მეტს ამოვდივარ შენი გულისთვის აქ!.. (მიუახლოვდება, იულიას სახეში ჩახედავს.) რამ შეგაშფოთა? თუ პაკეტზე ჯავრობ? (გადაუსვამს ხელს თავზე) ნუ გეშინია, გაგზავნის. პირობა მომცა. (ჯდება იულიას გვერდით.)

ი უ ლ ი ა (ყურადღებით შეხედავს დედას). დედა, რომ არ წავიდე?

გ ლ ა ფ ი რ ა  პ ე ტ რ ე ს  ა ს უ ლ ი. შენ რა, შეიშალე?

ი უ ლ ი ა. ხომ შეიძლება ვიმუშაო და ვისწავლო კიდეც.

გ ლ ა ფ ი რ ა  პ ე ტ რ ე ს  ა ს უ ლ ი. დაუსწრებლად? ეს სწავლა არ არის! და შენ არც ისეთი გამძლე ხარ! მადლობა ღმერთს, რაცა გვაქვს გვყოფნის... კაპიკებზე არ ვცხოვრობთ.

ი უ ლ ი ა. იცი კიდევ რას გეტყვი დედა?.. რატომ... რატომ უნდა გავხდე მე მაინცდამაინც იურისტი?

გ ლ ა ფ ი რ ა  პ ე ტ რ ე ს  ა ს უ ლ ი (შეშინებული). რა მოგივიდა შენ?

ი უ ლ ი ა (მაგრად ჩაეხუტება დედას). დამიჯერე მე, დედიკო...

გ ლ ა ფ ი რ ა  პ ე ტ რ ე ს  ა ს უ ლ ი (გაბრაზებით). ო, გეყოფა! ყველაფერი გადაწყვეტილია და კმარა! (თავზე უსვამს ხელს) საბუთებიც გაგზავნილია უკვე.

ი უ ლ ი ა (ფიქრებში წასული). იქნებ სულაც არ ღირს წასვლა... ლაბორატორიაში მივეწყობი..

გ ლ ა ფ ი რ ა  პ ე ტ რ ე ს  ა ს უ ლ ი (მოაშორებს იულიას). ეს გენადის საქმეა?

ი უ ლ ი ა. არა, დედი, არა! თვითონ მოვიფიქრე.

გ ლ ა ფ ი რ ა  პ ე ტ რ ე ს  ა ს უ ლ ი (დგება უხმოდ) ხან ეს გინდა, ხან ის გინდა. როგორ არის შენი საქმე?

ი უ ლ ი ა (ისიც დგება). მე ჯერ არაფერი არ ვიცი. სწავლას კი მაინც განვაგრძობ! მხოლოდ სხვა დარგში... შეიძლება აგრონომიულზე, და ალბათ დაუსწრებლად...

გ ლ ა ფ ი რ ა  პ ე ტ რ ე ს  ა ს უ ლ ი (მკაცრად). მე შენ გითხარი თუ არა: ან წახვალ ქალაქში, ანდა...

ი უ ლ ი ა (ცდილობს მიეხვიოს გლაფირა პეტრეს ასულს). დედიკო!..

გ ლ ა ფ ი რ ა პ ე ტ რ ე ს ა ს უ ლ ი (მოიშორებს მას). გამიშვი! (მიდის)

ი უ ლ ი ა (მიჰყვება). მე ხომ... მე... უნდა გამოვერკვე... დედა! (გააყოლებს თვალს დედას, შემდეგ დაღუნავს თავს) ხმა არც კი გამცა...

(დგას ჩაფიქრებული. სადღაც შორს ისმის ნაცნობი მარში. ტრაქტორის ყრუ გუგუნი. იულია ძივა ფეოდობის კიდესთან. თმას ნიავი უწეწავს. იგი გაჰყურებს მის წინ გადაშლილ თვალუწვდენ სივრცეს შეჩერცება, ჩუმად) დიახ, უნდა გავერკვე!..

**ფ ა რ დ ა**